

დიპლომის შემდგომი განათლების

(პროფესიული მზადების)

რეზიდენტურის

პროგრამა

პათოლოგიური ანატომია - კლინიკური

პათოლოგია

2013 წელი

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა

„პათოლოგიური ანატომია-კლინიკური პათოლოგია“

/ხანგრძლივობა – 3 წ. - 33 თვე/

I. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა პათოლოგიურ ანატომიასა და კლინიკურ პათოლოგიაში განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული მედიკოსებისათვის.

პროგრამის მიზანია მოამზადოს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი – პათოლოგანატომი – კლინიკური პათოლოგი.

პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგიის პროგრამის გავლისას რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი აითვისებს თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს პათოლოგიური ანატომიის ოთხივე მიმართულებაში: აუტოფსიური მიმართულება, ჰისტო-პათოლოგიური მიმართულება, ციტო-პათოლოგიური მიმართულება, იმუნოჰისტოქიმიო-მოლეკულურ-პათოლოგიური მიმართულება.

პათოლოგიური ანატომია – კლინიკური პათოლოგიის პროგრამის გავლის შემდეგ რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი შეიძენს უნარს და შეძლებს დამოუკიდებლად ჩატაროს აუტოფსიური დიაგნოსტიკა, ჰისტო-პათოლოგიური დიაგნოსტიკა, ციტო-პათოლოგიური დიაგნოსტიკა, იმუნოჰისტოქიმიო-მოლეკულურ-პათოლოგიური დიაგნოსტიკა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია და კლინიკური საქმიანობის ხარისხის კონტროლი.

2. სპეციალობის აღწერილობა

პათოლოგანატომი – კლინიკური პათოლოგიის სპეციალობა მოიცავს როგორც ცოცხალი ორგანიზმიდან (ნაცხის, ბიოფსიის, ოპერაციის გზით), ასევე გვამიდან (აუტოფსიის გზით) მიღებული მასალის დიაგნოსტიკას და კლინიკური საქმიანობის ხარისხის კონტროლს. პათოლოგანატომი – კლინიკური პათოლოგი ოპერაციული, აუტოფსიური მასალის მაკრომორფოლოგიური დამუშავების საფუძველზე ახორციელებს ორგანოებისა და ქსოვილების მიკრომორფოლოგიურ შესწავლასა და დიაგნოსტიკას, საბოლოო დიაგნოზის დადგენის მიზნით იყენებს ჰისტოქიმიურ, იმუნოჰისტოქიმიურ და მოლეკულურ-პათოლოგიურ ტექნოლოგიებს. ასევე, ციტოლოგიური მასალის დიაგნოსტიკას და საბოლოო დიაგნოზის დადგენის მიზნით იყენებს ციტოქიმიურ, იმუნოციტოქიმიურ და მოლეკულურ-პათოლოგიურ ტექნოლოგიებს. აუტოფსიური მასალის დიაგნოსტიკას და საბოლოო დიაგნოზის დადგენის მიზნით იყენებს ჰისტოქიმიურ, იმუნოჰისტოქიმიურ და მოლეკულურ-პათოლოგიურ ტექნოლოგიებს. ახორციელებს კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემებისა და პათოლოგანატომიური დიაგნოსტიკის ანალიზსა და კლინიკური საქმიანობის ხარისხის კონტროლს.

პათოლოგანატომი-კლინიკური პათოლოგი შეიძლება იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული ექიმი, რომელიც სპეციალურად არის მომზადებული „პათოლოგიურ ანატომია-კლინიკურ პათოლოგიაში“ (დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების/რეზიდენტურის პროგრამის ფარგლებში) და აქვს ამ დარგში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (განსაკუთრებულ შემთხვევებში პათოლოგიური ანატომიის-კლინიკური პათოლოგიის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების/რეზიდენტურის პროგრამის გავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს მედიკო-ბიოლოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულებსაც.)

პათოლოგანატომი-კლინიკური პათოლოგის **კომპეტენციას** მიეკუთვნება:

1. ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილის პათოლოგიების მაკროსკოპული და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) დიაგნოსტიკა.
2. აუტოფსიის წარმოება და აუტოფსიური მასალის მაკრო- და მიკროსკოპული (ციტოლოგია, ჰისტოლოგია, მოლეკულური პათოლოგია) გამოკვლევა.
3. კლინიკო-ლაბორატორიული მონაცემების ანალიზი.
4. კლინიკური საქმიანობის ხარისხის კონტროლი.

პათოლოგანატომი-კლინიკური პათოლოგი **ვალდებულია**:

1. უზრუნველყოს მასალის გამოკვლევა პროტოკოლებით გათვალისწინებული შესაბამისი ტექნოლოგიებით.
2. ითანამშრომლოს სხვა დარგის სპეციალისტებთან და გასცეს შესაბამისი ახსნა-განმარტებები გაცემულ დიაგნოზთან დაკავშირებით.
3. მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა საკუთარი დიაგნოსტიკური შემთხვევების მულტიდისციპლინურ განხილვაში.
4. არ გაასაჯაროს პაციენტის პირადი მონაცემები და დიაგნოზი.

პათოლოგანატომს-კლინიკურ პათოლოგს **უფლება** აქვს:

1. გაეცნოს პაციენტის საპასპორტო მონაცემებს.
2. ხელი მიუწვდებოდეს პაციენტის კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგებზე.
3. უარი თქვას დასკვნის მიცემაზე ან კვლევის შემდგომ გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი კლინიკური ინფორმაცია საკმარისი არ არის დასკვნის გასაცემად.
4. მოითხოვოს დამატებითი კლინიკური ინფორმაციის წარდგენა.
5. მოითხოვოს დამატებითი მაღალტექნოლოგიური კვლევის მეთოდების ჩატარება პათოლოგიურ ანატომიაში დიაგნოზის დაზუსტებისთვის.
6. გააკეთოს განცხადება მისი დასკვნის არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ.
7. დააყენოს საკითხი განყოფილების გამგის წინაშე, მის დაქვემდებარებაში მყოფი საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის წახალისების ან დისციპლინური სასჯელის დადების თაობაზე.

პათოლოგანატომი-კლინიკური პათოლოგი **პასუხისმგებელია**:

1. მედიცინის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დიაგნოსტიკური სამუშაოების დროულ და კვალიფიციურ შესრულებაზე.
2. სამედიცინო დოკუმენტაციის დროულ და ხარისხიან შედგენაზე.
3. გამოსაკვლევი მასალისა და არქივის მოწესრიგების უზრუნველყოფაზე.
4. მუშაობის პროცესში მწვავე ინფექციურ დაავადებათა გამოვლინებისას დაუყოვნებლივ აცნობოს დაწესებულების ხელმძღვანელს და დადგენილი წესით ჯანდაცვის სათანადო მმართველობით ორგანოებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს.
5. განსაკუთრებული შემთხვევისას, ასევე ჯანდაცვის სხვა პერსონალის მიერ შიდა სამუშაო წესების თანამდებობრივი ინსტრუქციების და შრომითი დისციპლინის დარღვევისას, დაუყოვნებლივ აცნობოს განყოფილების გამგეს დაწესებულების ხელმძღვანელს.

პათოლოგანატომის-კლინიკური პათოლოგის უნარ-ჩვევები

პათოლოგანატომს-კლინიკურ პათოლოგს უნდა შეეძლოს:

- კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების მონაცემების ინტერპრეტაცია;
- აუტოფსიის წარმოება;

- სხვადასხვა ორგანოებიდან და ქსოვილებიდან მიღებული მაკრო- და მიკრომორფოლოგიური მასალის დიაგნოსტიკა ციტოლოგიური, ჰისტოლოგიური, მოლეკულურ-პათოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კლინიკო-ანატომიური განხილვებისთვის შემთხვევების მომზადება.

3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

პათოლოგიურ ანატომიაში სარეზიდენტო პროგრამა აგებული უნდა იყოს მოდულების პრინციპზე და გულისხმობს რეზიდენტის მიერ “პათოლოგიური ანატომიის-კლინიკური პათოლოგიის” ყველა სავალდებულო მოდულის გავლას, რომლებშიც მოცემული იქნება მზადების მიზანი, ასათვისებელი საკითხებისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, მზადების ფორმები, მეთოდები, ხანგრძლივობა და შეფასების კრიტერიუმები.

4. სარეზიდენტო პროგრამის შედეგანილობა. პროგრამის მოდულებად დაყოფა და მოდულების განხორციელების ობიექტები

სარეზიდენტო პროგრამის მოდულები ემსახურება რეზიდენტის მომზადებას პათოლოგიური ანატომიის ზოგადი და ცალკეული კერძო საკითხების შესწავლისა და ექიმ-პათოლოგანატომის პრაქტიკული ჩვევების ათვისებისთვის. სარეზიდენტო პროგრამის მოდულები იმგვარად არის შედგენილი, რომ არ ხდებოდეს დიპლომამდელ ეტაპზე შესწავლილი საკითხების დუბლირება.

მზადების პირველი წლის მოდულების რაოდენობა:

მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	პათოლოგიის საგანი, პათოლოგიური ანატომიის სამსახურის ორგანიზაცია, სამედიცინო დოკუმენტაცია პათოლოგიურ ანატომიაში, დაზიანება, ადაპტაცია, ქსოვილის რეპარაცია, ჰემოდინამიკის დარღვევები. ხანგრძლივობა	1 თვე
1.2.	ანთება; იმუნოპათოლოგია; სიმსივნე; გენური დაავადებები. ხანგრძლივობა	1 თვე
1.3	პათოჰისტოლოგიური დიაგნოსტიკა	2 თვე
1.4	აუტოპსიური პათოლოგია; პათოლოგიური ანატომიის როლი სამედიცინო დახმარების კონტროლის საქმეში; გვამის შემურვა.	3 თვე
1.5	მოლეკულური პათოლოგია	2 თვე
1.6	პათოციტოლოგიური დიგნოსტიკა	2 თვე

მზადების მეორე წლის მოდულების რაოდენობა:

მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	სასამართლო მედიცინა	2 თვე
2.2.	საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგია	2 თვე
2.3	გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და შარდის გამომყოფი სისტემის პათოლოგია.	3 თვე
2.4	ძუძუს, სასქესო სისტემისა და ორსულთა პათოლოგია.	3 თვე
2.5	თავისა და კისრის მიდამოს პათოლოგია	1 თვე

მზადების მესამე წლის მოდულების რაოდენობა:

მოდული №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	ნერვული და ენდოკრინული სისტემის პათოლოგია	2 თვე
3.2.	ძვლების, სახსრებისა და რბილი ქსოვილების პათოლოგია	3 თვე
3.3	ინფექციური და კანის პათოლოგია	2 თვე
3.4	ახალშობილთა და ბავშვთა ასაკის პათოლოგია. სისხლისა და ჰემოპოეზური სისტემის პათოლოგია	3 თვე
3.5	თვალისა და ყურის პათოლოგია	1 თვე

5. პედაგოგიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საბანანათმშენებლო რესურსები

პედაგოგიური პერსონალი უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული ექიმი-პათოლოგოანატომებით. პათოლოგიურ ანატომიაში სარეზიდენტო პროგრამის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების პათოლოგოანატომიურ განყოფილებებში და ლაბორატორიებში გამოკვლევების რაოდენობა და დაავადებების სპექტრი უნდა იძლეოდეს ამ სპეციალობით ღრმა კლინიკურ-მორფოლოგიური გამოცდილების მიღების საშუალებას. გარდა ამისა, პათოლოგიურ ანატომიაში რეზიდენტურის პროგრამის ჩატარებისთვის დაწესებულებას უნდა გააჩნდეს პედაგოგიური პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი (აუდიტორია, სასწავლო ოთახები, ვიზუალური და დამხმარე სასწავლო მასალები და სხვ).

6. ხარისხის უზრუნველყოფის იმპანიფიკაცია, პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

პათოლოგიურ ანატომიაში-კლინიკურ პათოლოგიაში რეზიდენტის მომზადების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები:

- პროგრამის მოდულების დამუშავების რეგულარული კონტროლი, თითოეული მოდულის პროგრამაში მითითებული შეფასების სისტემის შესაბამისად;
- რეზიდენტის მიერ დამუშავებული დოკუმენტური მასალის რეგულარული კონტროლი, მეთოდური ანალიზი, განხილვა და დაარქივება;
- რეზიდენტის დღიურის რეგულარული შევსება და კონტროლი;
- რეზიდენტისთვის სავალდებულო მანიპულაციების/ოპერაციების შესრულებაზე რეგულარული კონტროლი და მათი შეფასება პროგრამაში არსებული ჩამონათვალის მიხედვით.

სწავლების/შეფასების პრინციპები

პათანატომის-კლინიკური პათოლოგიის სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური ფორმატით: ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სიტუაციური ამოცანების ანალიზი, თვალსაჩინოებებზე მუშობა, მაკროსკოპული გამოკვლევა, მიკროსკოპირება, დიაგნოსტიკისთვის საჭირო პროცედურების დაგეგმვა და განხორციელება.

რეზიდენტის შეფასების სქემა შეესაბამება მის აქტივობას, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. მოიცავს განსაკუთრებულ ბონუსებს (ჯამურ ქულებს) მორიგეობებსა და პროფესიულ შეხვედრებში (კონფერენცია, კონგრესი, სიმპოზიუმი, ტრენინგი და სხვ.) მონაწილეობისათვის.

პროგრამის მოდულების გავლისას რეზიდენტის მიერ დაგროვილი ქულები ჯამდება და სასწავლო წელი (სწავლების ეტაპი) ჩაითვლება დამუშავებულად, თუ რეზიდენტი დააგროვებს მინიმალურ გამსვლელ ქულას – ჯამური შეფასების 60%. განმეორებითი წლიური გამოცდა შესაძლებელია დაინიშნოს არაუმეტეს ორჯერ. იმ შემთხვევაში, თუ რეზიდენტი ვერ დააგროვებს მინიმალურ გამსვლელ ქულას, იგი რჩება პროგრამის იმავე

ეტაპზე (კურსზე) და მის მიერ განვლილი წლის მანძილზე დაგროვილი ქულები უქმდება (ნულდება).

პროგრამის მოდულების დასრულების შემდეგ რეზიდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დამადასტურებელი წერილობითი მასალა (ჩათვლა ტესტებით, რეფერატი და სხვ.) ინახება დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამის ხელმძღვანელთან.

შეფასების მეთოდები

თეორიული ცოდნის შეფასება მოხდება თითოეული მოდულის მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ პერიოდული გამოკითხვების ან ტესტირების (კოლოქვიუმის) ფორმით, რაც ასახული იქნება მოდულის სასწავლო გეგმაში და რეზიდენტის დღიურში; შეფასება დამოწმდება მოდულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით. წლის ბოლოს რეზიდენტი აბარებს წლიურ ტესტირებულ გამოცდას, რომელიც მოიცავს წლის განმავლობაში განვლილი მოდულების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ მასალას.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების შეფასება მოხდება შესასრულებელი მანიპულაციების ჩამონათვალის შესაბამისად პათანატომის-კლინიკური პათოლოგიის მოდულის სასწავლო პროგრამაში მითითებული სქემის მიხედვით.

7. პროგრამის ხანგრძლივობა

სარეზიდენტო პროგრამა პათოლოგიურ ანატომიაში გათვლილი უნდა იყოს 3 წელიწადზე (33 თვეზე) და შედგებოდეს ცალკეული მოდულებისგან.

სპეციალისტის თეორიულ მომზადებას ეთმობა პროგრამის პირველი და ნაწილობრივ მეორე წელი. თეორიული მომზადება მოიცავს იმ დისციპლინების, მანიპულაციების, სისტემის გაცნობას, რაც აუცილებელია თანამედროვე პათოლოგანატომისთვის-კლინიკური პათოლოგიისთვის.

სპეციალისტის პრაქტიკულ მომზადებას ეთმობა პროგრამის მეორე წლის ძირითადი ნაწილი და მესამე წელი მთლიანად.

8. პროგრამის განახლების პერიოდულობა

მიზანშეწონილია სარეზიდენტო პროგრამის არსებითი განახლება მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების, სამედიცინო სპეციალობების აღიარებული კურიკულუმების ცვლილებების შესაბამისად. ამასთანავე, პროგრამა მთლიანობაში და მისი ცალკეული მოდულები უნდა იყოს ლაბილური და ორიენტირებული რეზიდენტზე, ამიტომაც ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების შესატყვისად, შესაძლებელი უნდა იყოს მისი დახვეწა პროფესიული მზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განახლება სასურველია მოხდეს 5 წელიწადში ერთხელ.

II. პროფესიული მზადების I წლის მოდულები

მოდული 1.1

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა-** პათოლოგიის საგანი, პათოლოგიური ანატომიის სამსახურის ორგანიზაცია, სამედიცინო დოკუმენტაცია პათოლოგიურ ანატომიაში, დაზიანება, ადაპტაცია, ქსოვილის რეპარაცია, ჰემოდინამიკის დარღვევები. ხანგრძლივობა 1 თვე.
2. **მოდულის მიზანი** - პათოლოგიური ანატომიის, როგორც კლინიკური მედიცინის დარგის როლი და ადგილი ჯანდაცვის სისტემაში; პათოლოგიური ანატომიის სამსახურის ორგანიზაციის გაცნობა; სამედიცინო დოკუმენტაციის წამოების გაცნობა. პათოლოგიურ

ანატომიაში გამოყენებადი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების შესწავლა. ზოგადპათოლოგიური პროცესების (უჯრედის ადაპტაციური რეაქციები, დაზიანება, სიკვდილი; ქსოვილის რეპარაცია; ჰემოდინამიკის დარღვევები) თანამედროვე მიღწევების გაცნობა და შესწავლა.

3. ლიტერატურის ნუსხა –

- გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
- გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი კერძო პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
- თ. ხარძეიშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.;
- თ. ხარძეიშვილი კლინიკური პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.
- Kumar, Abbas, Aster - Robbins & Cotran Pathologic Basis of Disease, 9th ed.
- Rosai - Rosai and Ackerman's Surgical Pathology, 10th ed.
- Carter, Greenson, Reuter, Stoller, Mills - Sternberg's Diagnostic Surgical Pathology
- Fletcher - Diagnostic Histopathology of Tumors, 4th ed.
- Cibas, Ducatman - Cytology: Diagnostic Principles and Clinical Correlates, 3rd ed.
- Koss, Melamed - Koss' Diagnostic Cytology And Its Histopathologic Bases, 5th ed.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
პათოლოგიის საგანი; პათოლოგიური ანატომიის სამსახურის ორგანიზაცია;	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
პათოლოგიურ ანატომიაში გამოყენებადი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების შესწავლა	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე და პათოლოგოანატომიური დასკვნების გაცემაზე	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე. 50 პათოჰისტოლოგიური დასკვნის და 5 გარდაცვალების ცნობის გაფორმება და გაცემა	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
უჯრედის ადაპტაციური რეაქციები, დაზიანება, სიკვდილი	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
ქსოვილის რეპარაცია; რეგენერაცია; შეხორცება; ფობროზი; ჰემოდინამიკის დარღვევები	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე მოდულის შემაჯამებელი კოლოქვიუმი

მოდული 1.2

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა-** ანთეზა; იმუნოპათოლოგია; სიმსივნე; გენური დაავადებები. ხანგრძლივობა 1 თვე.
2. **მოდულის მიზანი** - ზოგადპათოლოგიური პროცესების (ანთეზა; იმუნოპათოლოგია; სიმსივნე; გენური დაავადებები) თანამედროვე მიღწევების გაცნობა და შესწავლა.
3. **ლიტერატურის ნუსხა –**
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი კერძო პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - თ. ხარძეიშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.;
 - თ. ხარძეიშვილი კლინიკური პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.
 - Kumar, Abbas, Aster - Robbins & Cotran Pathologic Basis of Disease, 9th ed.
 - Rosai - Rosai and Ackerman's Surgical Pathology, 10th ed.
 - Carter, Greenson, Reuter, Stoller, Mills - Sternberg's Diagnostic Surgical Pathology
 - Fletcher - Diagnostic Histopathology of Tumors, 4th ed.
 - Cibas, Ducatman - Cytology: Diagnostic Principles and Clinical Correlates, 3rd ed.
 - Koss, Melamed - Koss' Diagnostic Cytology And Its Histopathologic Bases, 5th ed.
4. **შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 2).

ცხრილი № 2

თეორიულიკურსი	პროფესიულიუნარ-ჩვევები	შესასრულებელიმანიპულაციისრაოდენობა	შეფასებისმეთოდები
მწვავე და ქრონიკული ანთების პათოლოგია; მორფოგენეზი; მორფოლოგიური გამოსატყულებები	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
იმუნოპათოლოგიური პროცესები: ზემოგრძობლობის რეაქციები; აუტოიმუნური დაავადებები; იმუნოდეფიციტური სინდრომები; ამილოიდოზი	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
სიმსივნე, მორფოგენეზი, მორფოლოგიური გამოსატყულება	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
გენური დაავადებები: მუტაცია; გენეტიკური	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის	ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება და რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე მოდულის

დაავადებები	მიღებაზე	შემაჯამებელი კოლოქიუმი
-------------	----------	------------------------

მოდული 1.3

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა-** პათოჰისტოლოგიური დიაგნოსტიკა. ხანგრძლივობა 2 თვე.
2. **მოდულის მიზანი** - პათოჰისტოლოგიური კვლევის არსი, მისი ადგილი მედიცინაში და მისი როლი ავადმყოფობის პროფილაქტიკის (პრევენციის), დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში. პათოჰისტოლოგიური კვლევის თანამედროვე მიღწევების გაცნობა და შესწავლა. პათოლოგიური პროცესების პათოჰისტოლოგიური გამოსატყულებების შესწავლა.
3. **ლიტერატურის ნუსხა** –
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი კერძო პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - თ. ხარქიშივილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.;
 - თ. ხარქიშივილი კლინიკური პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.
 - Kumar, Abbas, Aster - Robbins & Cotran Pathologic Basis of Disease, 9th ed.
 - Rosai - Rosai and Ackerman's Surgical Pathology, 10th ed.
 - Carter, Greenson, Reuter, Stoller, Mills - Sternberg's Diagnostic Surgical Pathology
 - Fletcher - Diagnostic Histopathology of Tumors, 4th ed.
 - Cibas, Ducatman - Cytology: Diagnostic Principles and Clinical Correlates, 3rd ed.
 - Koss, Melamed - Koss' Diagnostic Cytology And Its Histopathologic Bases, 5th ed.
4. **შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 3).

ცხრილი № 3

თეორიულიკურსი	პროფესიულ იუნარ-ჩვევები	შესასრულებელიმანიპულაციისრაოდენობა	შეფასებისმეთოდები
პათოჰისტოლოგიურიკვლევისარსის დამისიადგილიმედიცინაში, მისიროლიავადმყოფობისპროფილაქტიკის (პრევენციის), დიაგნოსტიკისადამკურნალობისსაქმეში.	მორიგეობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღებაზე; პათოჰისტოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის გაცნობა	პათოჰისტოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის გაცნობა ოპერაციული და ბიოფსიური მასალის მიღება, რეგისტრაცია, დიაგნოსტიკაში მონაწილეობა 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
პათოჰისტოლოგიური კვლევის თანამედროვე მიღწევების გაცნობა და შესწავლა.	პათოჰისტოლოგიური ტექნიკის შესწავლა– ათვისება; 2 კვირა.	ჰისტოლოგიური ტექნიკის ათვისება და პრეპარატების დამზადება 2 კვირის მანძილზე	დამზადებული ჰისტოლოგიური პრეპარატების განხილვა

			და მათი ხარისხის შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
ჰისტოქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდების გაცნობა და შესწავლა	პათოჰისტოქიმიური ტექნიკის შესწავლა– ათვისება; 2 კვირა.	ჰისტოქიმიური ტექნიკის ათვისება და ჰისტოქიმიური პრეპარატების დამზადება 2 კვირის მანძილზე	დამზადებული ჰისტოქიმიური პრეპარატების განხილვა და მათი ხარისხის შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
პათოლოგიური პროცესების პათოჰისტოლოგიური გამოხატულებების შესწავლა	ჰისტოლოგიური და ჰისტოქიმიური პრეპარატების ხარისხის შეფასება, აღწერა; პათოლოგიური პროცესების მიკრომორფოლოგიური გამოხატულებების შესწავლა (3 კვირა)	ჰისტოლოგიური და ჰისტოქიმიური პრეპარატების ხარისხის შეფასება და აღწერა (100 შემთხვევა) 3 კვირა	ჰისტოლოგიური და ჰისტოქიმიური პრეპარატების და აღწერილობების შეფასება-გაანალიზება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე მოდულის შემაჯამებელი კოლოქიუმი

მოდული 14

- 1. მოდულის დასასრულება, ხანგრძლივობა-** აუტოპსიური პათოლოგია; პათოლოგიური ანატომიის როლი სამედიცინო დახმარების კონტროლის საქმეში; გვამის შემურვა. ხანგრძლივობა 3 თვე.
- 2. მოდულის მიზანი** - აუტოფსიური კვლევის არსის და მისი ადგილი ჯანდაცვის სისტემაში; მისი მნიშვნელობა სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების, სამედიცინო განათლების, ავადმყოფობათა პროფილაქტიკისა

და სამედიცინო განათლებისთვის; აუტოფსიური კვლევის მეთოდების გაცნობა და შესწავლა. პათოლოგიური მოვლენების მაკრომორფოლოგიური გამოხატულებების შესწავლა

3. ლიტერატურის ნუსხა –

- გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
- გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი კერძო პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
- თ. ხარძეიშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.;
- თ. ხარძეიშვილი კლინიკური პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.
- Kumar, Abbas, Aster - Robbins & Cotran Pathologic Basis of Disease, 9th ed.
- Rosai - Rosai and Ackerman's Surgical Pathology, 10th ed.
- Carter, Greenson, Reuter, Stoller, Mills - Sternberg's Diagnostic Surgical Pathology
- Fletcher - Diagnostic Histopathology of Tumors, 4th ed.
- Cibas, Ducatman - Cytology: Diagnostic Principles and Clinical Correlates, 3rd ed.
- Koss, Melamed - Koss' Diagnostic Cytology And Its Histopathologic Bases, 5th ed.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 4).

ცხრილი № 4

<i>თეორიულიკურსი</i>	<i>პროფესიულიუნარ-ჩვევები</i>	<i>შესასრულებელიმანიპულაციისრაოდენობა</i>	<i>შეფასებისმეთოდები</i>
აუტოფსიური კვლევის არსის და მისი ადგილი ჯანდაცვის სისტემაში	მორიგეობა სასექციოში და სასექციოს მუშაობის ორგანიზაციის გაცნობა-შესწავლა	გვამების მიღება-გაცემა და მისი რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
აუტოფსიის მნიშვნელობა სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების, სამედიცინო განათლების, ავადმყოფობათა პროფილაქტიკისა და სამედიცინო განათლებისთვის	მორიგეობა სასექციოში და სასექციოს მუშაობის ორგანიზაციის შესწავლა. გარდაცვალების ცნობის შევსების ათვისება	გვამების მიღება-გაცემა და მისი რეგისტრაცია, გარდაცვალების ცნობის შევსება 1 კვირის მანძილზე	შევსებული გარდაცვალების ცნობების განხილვა-შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
აუტოფსიური კვლევის მეთოდების გაცნობა და შესწავლა. გვამის შემურვის ტექნიკის	მორიგეობა სასექციოში; გარდაცვალების ცნობის შევსება; აუტოფსიის ტექნიკის	გარდაცვალების ცნობის შევსება, გვამის გაკვეთასა და შემურვაში მონაწილეობა 6 კვირის მანძილზე.	შევსებული გარდაცვალების ცნობების განხილვა-შეფასება; გასაუბრება სემინარულ

შესწავლა	შესწავლა-ათვისება. გვამის შემურვის ტექნიკის შესწავლა-ათვისება		მეცადინეობაზე
პათოლოგიური მოვლენების მაკრომორფოლოგიური გამოხატულებების შესწავლა	მორიგობა სასექციოში; გარდაცვალები ს ცნობის შევსება; აუტოფსიის ტექნიკის ათვისება; გვამის გაკვეთის ოქმის შევსების შესწავლა	გარდაცვალების ცნობის შევსება, გვამის გაკვეთაში მონაწილეობა და ოქმის გაფორმებაში მონაწილეობა 1 თვის მანძილზე.	შევსებული გარდაცვალების ცნობებისა და გაკვეთის ოქმების განხილვა-შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე მოდულის შემაჯამებელი კოლოქიუმი

მოდული 1.5

- 1. მოდულის დასასრულება, ხანგრძლივობა-** მოლეკულური პათოლოგია. ხანგრძლივობა 2 თვე.
- 2. მოდულის მიზანი** - მოლეკულური პათოლოგიის მეთოდების გაცნობა. იმუნოჰისტოქიმიური კვლევის მეთოდების შესწავლა; პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციის, in situ ჰიბრიდიზაციის, ციტოგენეტიკური, შედარებითი გენომური ჰიბრიდიზაციის, ბლოტინგის, მიკრომატრიცული ანალიზისა და თანმიმდევრობის განსაზღვრის მეთოდების გაცნობა.
- 3. ლიტერატურის ნუსხა –**
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი კერძო პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - ო. ხარძეიშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.;
 - ო. ხარძეიშვილი კლინიკური პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.
 - Kumar, Abbas, Aster - Robbins & Cotran Pathologic Basis of Disease, 9th ed.
 - Rosai - Rosai and Ackerman's Surgical Pathology, 10th ed.
 - Carter, Greenson, Reuter, Stoller, Mills - Sternberg's Diagnostic Surgical Pathology
 - Fletcher - Diagnostic Histopathology of Tumors, 4th ed.
 - Cibas, Ducatman - Cytology: Diagnostic Principles and Clinical Correlates, 3rd ed.
 - Koss, Melamed - Koss' Diagnostic Cytology And Its Histopathologic Bases, 5th ed.
- 4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები.** (მოცემულია ცხრილი № 5).

ცხრილი № 5

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
მოლეკულური პათოლოგიის	იმუნოჰისტოქიმიური	იმუნოჰისტოქიმიური კვლევისთვის ოპერაციული და ბიოფსიური	გასაუბრება სემინარულ

მეთოდების გაცნობა და მათი დიაგნოსტიკური მნიშვნელობის შესწავლა	ლაბორატორიის მუშაობის ორგანიზაციის გაცნობა-შესწავლა	მასალების მიღება-გაცემა და მისი რეგისტრაცია 1 კვირის მანძილზე	მეცადინეობაზე
იმუნოჰისტოქიმიური კვლევის მეთოდების შესწავლა.	იმუნოჰისტოქიმიური კვლევის ტექნიკის შესწავლა-ათვისება	იმუნოჰისტოქიმიური კვლევისთვის ოპერაციული და ბიოფსიური მასალების მიღება-გაცემა და მისი რეგისტრაცია; იმუნოჰისტოქიმიური პრეპარატების დამზადება 2 კვირის მანძილზე.	დამზადებული იმუნოჰისტოქიმიური პრეპარატების განხილვა-შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
იმუნოჰისტოქიმიური კვლევის დიაგნოსტიკური ღირებულების, ჩვენებისა და შეფასების შესწავლა.	იმუნოჰისტოქიმიური პრეპარატების აღწერილობისა და შეფასების შესწავლა-ათვისება.	იმუნოჰისტოქიმიური კვლევისთვის ოპერაციული და ბიოფსიური მასალების მიღება-გაცემა და მისი რეგისტრაცია; იმუნოჰისტოქიმიური პრეპარატების აღწერილობისა და შეფასება 1 თვის მანძილზე.	იმუნოჰისტოქიმიური აღწერილობებისა და დასკვნების განხილვა-შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციის, in situ ჰიბრიდიზაციის, ციტოგენეტიკური, შედარებითი გენომური ჰიბრიდიზაციის, ბლოტინგის, მიკრომატრიცული ანალიზისა და თანმიმდევრობის განსაზღვრის მეთოდების გაცნობა.	იმუნოჰისტოქიმიური პრეპარატების აღწერილობისა და შეფასების შესწავლა-ათვისება.	იმუნოჰისტოქიმიური პრეპარატების აღწერილობისა და შეფასება 1 კვირის მანძილზე.	იმუნოჰისტოქიმიური აღწერილობებისა და დასკვნების განხილვა-შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე მოდულის შემაჯამებელი კოლოქიუმი

მოდული 1.6

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა** – პათოციტოლოგიური დიაგნოსტიკა, 2 თვე
2. **მოდულის მიზანი** - ცალკეული ნოზოლოგიების პათო- და მორფოგენეზის; მიკროდიაგნოსტიკის; გართულებების; გამოსავალის (გაჯანსაღება, ინვალიდიზაცია, სიკვდილი) სტრუქტურული საფუძვლების შესწავლა უჯრედულ დონეზე. ციტოპათოლოგიური დიფერენციული დიაგნოსტიკისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევების ათვისება
3. **ლიტერატურის ნუსხა** –
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი კერძო პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;

- თ. ხარქეიშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.;
- თ. ხარქეიშვილი კლინიკური პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.
- Kumar, Abbas, Aster - Robbins & Cotran Pathologic Basis of Disease, 9th ed.
- Rosai - Rosai and Ackerman's Surgical Pathology, 10th ed.
- Carter, Greenson, Reuter, Stoller, Mills - Sternberg's Diagnostic Surgical Pathology
- Fletcher - Diagnostic Histopathology of Tumors, 4th ed.
- Cibas, Ducatman - Cytology: Diagnostic Principles and Clinical Correlates, 3rd ed.
- Koss, Melamed - Koss' Diagnostic Cytology And Its Histopathologic Bases, 5th ed.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 6-ის სახით).

ცხრილი № 6

თეორიულიკურსი	პროფესიულ-ლიუნარ-ჩვევები	შესასრულებელიმანიპულაციისრაოდენობა	შეფასებისმეთოდები
სხვადასხვასახისმასალისაღებადამომზადებაციტოლოგიურიგამოკვლევისთვის. ციტოლოგიურიპრეპარატებისფიქსაციისადაშეღებისმეთოდები (გიმზას, პაპანიკოლაუს, პაპანგეიმის, ლეისმანისდაა.შ. მეთოდები). ციტოქიმიურიდაიმუნოციტოქიმიურიგამოკვლევა. ციტოლოგიურიპრეპარატებისგამოკვლევადადამონაცემებისინტერპრეტაცია.	მორიგეობა ციტოლოგიური მასალის მიღებაზე; პათოციტოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის გაცნობა	პათოციტოლოგიური ლაბორატორიის მუშაობის გაცნობა ციტოლოგიური მასალის მიღება და რეგისტრაცია. პათოციტოლოგიური ტექნიკის შესწავლა-ათვისება; 1 კვირა.	დამზადებული ციტოლოგიური პრეპარატების განხილვა და მათი ხარისხის შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
სასუნთქი სისტემის, ფარისებრი ჯირკვლის, საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და საშარდე სისტემის არასიმსივნური და სიმსივნური ავადმყოფობების პათოციტოლოგიური დიაგნოსტიკა	მიმდინარე ციტოლოგიური და ციტოქიმიური პრეპარატების ხარისხის შეფასება, აღწერა; პათოლოგიური პროცესების მიკრომორფოლოგიური გამოხატულებების შესწავლა (3 კვირა)	ციტოლოგიური ტექნიკის ათვისება და ციტოლოგიური პრეპარატების დამზადება. პრეპარატების აღწერა სამი კვირის მანძილზე.	დამზადებული ციტოლოგიური პრეპარატების განხილვა და მათი ხარისხის შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
სასქესო ორგანოებისა და სარძევე	ციტოლოგი	ციტოლოგიური	დამზადებ

<p>ჯირკვლის არასიმსივნური და სიმსივნური ავადმყოფობების პათოციტოლოგიური დიაგნოსტიკა</p>	<p>ური და ციტოქიმიური პრეპარატების ხარისხის შეფასება, აღწერა; სასქესო ორგანოებისა და სარძევე ჯირკვლის პათოლოგიების მიკრომორფოლოგიური გამოხატულებების შესწავლა (2 კვირა)</p>	<p>ტექნიკის ათვისება და ციტოლოგიური პრეპარატების დამზადება. პრეპარატების აღწერა. 2 კვირა</p>	<p>უღი ციტოლოგიური პრეპარატების განხილვა და მათი ხარისხის შეფასება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე</p>
<p>ლიმფური კვანძებისა და ძვლის არასიმსივნური და სიმსივნური დაზიანებების ციტოლოგიური დიაგნოსტიკა</p>	<p>ციტოლოგიური და ციტოქიმიური პრეპარატების ხარისხის შეფასება, აღწერა; ლიმფური კვანძებისა და ძვლის ტვინის პათოლოგიების მიკრომორფოლოგიური გამოხატულებების შესწავლა (2 კვირა)</p>	<p>ციტოლოგიური პრეპარატების აღწერა (100 შემთხვევა). 2 კვირა</p>	<p>ციტოლოგიური პრეპარატების აღწერილობების შეფასება-განაალიზება; გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე</p> <p>მოდულის შემაჯამებელი კოლოქვიუმი</p>

III. პროფესიული მზადების II წლის მოდულები

მოდული 2.1

1. **მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა** – სასამართლო მედიცინა, 2 თვე
2. **მოდულის მიზანი** - სასამართლო მედიცინის საფუძვლების შესწავლა; ცოცხალ პირთა და გვამების გამოკვლევის პრინციპებისა და საფუძვლების შესწავლა; სასამართლო მედიცინისა და პათოლოგოანატომიის კომპეტენციების გამიჯვნის ათვისება
3. **ლიტერატურის ნუსხა** –

- გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - გ. ბურკაძე, გ. ტურაშვილი კერძო პათოლოგიური ანატომია. თბილისი, 2010 წ.;
 - თ. ხარქიშვილი ზოგადი პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.;
 - თ. ხარქიშვილი კლინიკური პათოლოგიური ანატომია. თბილისი. 2005წ.
 - Kumar, Abbas, Aster - Robbins & Cotran Pathologic Basis of Disease, 9th ed.
 - Rosai - Rosai and Ackerman's Surgical Pathology, 10th ed.
 - Carter, Greenson, Reuter, Stoller, Mills - Sternberg's Diagnostic Surgical Pathology
 - Fletcher - Diagnostic Histopathology of Tumors, 4th ed.
 - Cibas, Ducatman - Cytology: Diagnostic Principles and Clinical Correlates, 3rd ed.
 - Koss, Melamed - Koss' Diagnostic Cytology And Its Histopathologic Bases, 5th ed.
4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 7-ის სახით).

ცხრილი № 7

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
სასამართლო სამედიცინო თანატოლოგია	მორიგეობა სასექციოში და სასექციოს მუშაობის ორგანიზაციის გაცნობა-შესწავლა	მორიგეობა სასექციოში (2 კვირა) და სასექციოს მუშაობის ორგანიზაციის გაცნობა-შესწავლა	გასაუბრება სემინარულ მეცადინეობაზე
